„მეუ“-ს რეიდერებმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ჩერკასში წმინდა ანდრიას ტაძარი დაიკავეს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 07.05.2025. 2025 წლის 6 მაისს ჩერკასში (უკრაინა) წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ტაძარი მიიტაცეს. მიუხედავად იმისა, რომ ის იურიდიულად უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ჩერკასის ეპარქიას ეკუთვნის, ხელისუფლებამ მას მიაწერა რეალურად არარსებული „მეუ“-ს თემი და ტაძარი თაღლითურად „გადასცა“ ამ სქიზმატურ სტრუქტურას.

„მეუ“-ს „სასულიერო პირები“ მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად ტაძარში შეიჭრნენ და წმინდა ანდრიას ტაძრის სამრევლოს ქონების აღწერა დაიწყეს, **იტყობინება** მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის საიტი. პოლიციამ ეკლესიის კარიბჭე გადაკეტა და საკუთარი ტაძრიდან გამოძევებულ მრევლს შესვლის უფლება არ მისცა; ხალხი ქუჩაში ლოცულობდა.

ამ ღონისძიებამ ქალაქის ხელმძღვანელობისგან სრული მხარდაჭერა მიიღო: მრევლთან საუბრისას

შესაბამისი განცხადებები გააკეთეს მერმა ანატოლი ბონდარენკომ და ჩერკასის საქალაქო საბჭოს მდივანმა.

როგორც ჩერკასისა და კანევის მიტროპოლიტმა თეოდოსიმ თავის განცხადებაში **განაცხადა,** რომ სასულიერო პირებმა და მრევლმა სცადეს სიწმინდის მშვიდობიანად და კანონიერად დაცვა, თუმცა უარი მიიღეს. მათმა სამართალდამცავებმა ისინი უბრალოდ საკუთარი სიწმინდიდან გამოაძევეს.

სასულიერო პირებმა ხელისუფლებას შესთავაზეს დავის იურიდიულად –სასამართლოს გზით მოგვარება, თუმცა პირდაპირი უარი მიიღეს. „ჩვენ უბრალოდ ტაძრიდან გამოგვაგდეს. ჩერკასის პოლიციის უფროსმა სიწმინდეში შესვლაც კი აგვიკრძალა. ახლა ტაძარს პოლიცია იცავს, რომელიც დანაშაულებრივ ბრძანებას ასრულებს, რაც არღვევს კონსტიტუციას და ეროვნული პოლიციის შესახებ კანონს“, – აღნიშნა მღვდელთმთავარმა.

მან გაიხსენა, რომ როდესაც ჩერკასში 2024 წლის 17 ოქტომბერს მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი **მიიტაცეს,** ეს გააკეთეს „აშკარა ბანდიტებმა – ჯოხებით, სპრეის ქილებით, იარაღით“. „დღეს კი არანაირი ბრბო – მხოლოდ პოლიცია. სწორედ მათ გააძევეს მორწმუნეები ტაძრიდან და უკან არ შეუშვეს. ესენი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. ჩვენ მათთან ბრძოლას არ ვაპირებთ, მაგრამ როდესაც მთავრობა აძევებს მორწმუნეებს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფო ომს აწარმოებს თავისი ეკლესიის წინააღმდეგ“, – დაასკვნა მიტროპოლიტმა თეოდოსიმ.

მეუფემ აღნიშნა, რომ მორწმუნეებმა წმინდა რელიქვიების ნაწილის გამოტანა მოახერხეს: „ჩვენ კეთილკრძალულებით გამოვიტანეთ სამკვეთლო და ლუსკუმა წმინდა დიდმოწამისა და მკურნალის პანტელეიმონის წმინდა ნაწილებით, რომელიც დროებით წმინდა ანდრიას ტაძარში იყო დაბრძანებული. ხალხი ტიროდა, ლოცულობდა და პოლიციის მიერ ჩაკეტილი კარიბჭის წინ თავის ტაძარს ემშვიდობებოდა“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93196/